

შპს „LTD Kairos Logistic“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

სპეციალური დანიშნულების მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	4
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	5
1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	9
5. ამონაგები მომსახურების გაწევიდან	10
6. მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	10
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10
8. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი.....	11
9. სხვა არასაოპერაციო ხარჯები	11
10. ფინანსური ხარჯები	11
11. ძირითადი საშუალებები	12
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
13. ფული და ფულის ექვივალენტები	13
14. გრძელვადიანი სესხები.....	13
15. ფინანსური იჯარის ვალდებულება	13
16. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	13

სპეციალური დანიშნულების მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2018 (არააუდიტირებული)
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	5	14,119,239
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	6	(12,245,432)
საერთო მოგება		1,873,807
სხვა საოპერაციო შემოსავალი		11,566
კომერციული ხარჯები		(33,556)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(1,574,225)
საოპერაციო მოგება		277,592
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	8	348,760
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	9	(387,577)
საპროცენტო შემოსავალი		16,347
ფინანსური ხარჯები	10	(128,958)
ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან		(86,069)
მოგება გადასახადების გადახდამდე		40,095
მოგების გადასახადი		-
წლის სრული მოგება		40,095

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2019 წლის 28 სექტემბერს:

გ. ნამაძე

მიხეილ ნამაძე
დირექტორი



	შენიშვნა	2018 (არააუდიტირებული)
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	5	14,119,239
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	6	(12,245,432)
საერთო მოგება		1,873,807
სხვა საოპერაციო შემოსავალი		11,566
კომერციული ხარჯები		(33,556)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(1,574,225)
საოპერაციო მოგება		277,592
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	8	348,760
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	9	(387,577)
საპროცენტო შემოსავალი		16,347
ფინანსური ხარჯები	10	(128,958)
ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან		(86,069)
მოგება გადასახადების გადახდამდე		40,095
მოგების გადასახადი		-
წლის სრული მოგება		40,095

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2019 წლის 28 სექტემბერს:

მიხეილ ნამადოვი
დირექტორი

		31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
	შენიშვნა	(არააუდიტირებული)	(არააუდიტირებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	1,567,173	668,940
არამატერიალური აქტივები		11,832	13,184
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,579,005	682,124
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		3,246	401
საგადასახადო აქტივი		-	26,924
გაცემული სესხი		311,246	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	954,370	752,447
ფული და ფულის ექვივალენტები	13	111,647	209,002
სულ მიმდინარე აქტივები		1,380,509	988,774
სულ აქტივები		2,959,514	1,670,898
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		99,080	99,080
გაუნაწილებელი მოგება		65,732	25,637
სულ კაპიტალი		164,812	124,717
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	14	352,008	387,094
ფინანსური იჯარის ვალდებულება	15	609,155	170,118
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		961,163	557,212
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	16	1,329,888	916,117
ფინანსური იჯარის მიმდინარე ვალდებულება		243,490	72,852
საგადასახადო ვალდებულებები		11,714	-
მოკლევადიანი სესხები		248,447	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,833,539	988,969
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		2,959,514	1,670,898

(არაუდიტირებული)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი	მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 1 იანვარი 2018	99,080	25,637		124,717
მიმდინარე წლის სრული მოგება	-	40,095		40,095
ბალანსი 31 დეკემბერი 2018	99,080	65,732		164,812

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს LTD Kairos Logistic (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია დაფუძნდა 2013 წლის აპრილში. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404984781.

ძირითადი საქმიანობა. შპს LTD Kairos Logistic წარმოადგენს საერთაშორისო სატრანსპორტო კომპანიას. კომპანია უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის მომსახურებებს: ლოჯისტიკური; ადგილობრივი გადაზიდვები; ტვირთის საერთაშორისო გადაზიდვები საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო ტრანსპორტირების გზით. კომპანიაში საანგარიშგებო წლის განმავლობაში საშუალოდ დასაქმებული იყო 52 თანამშრომელი.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზ., N32ა, ბ. N60.

კომპანიის მეწილეები: საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში შეიცვალა კომპანიის მფლობელების სტრუქტურა. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისათვის კომპანიის მფლობელები იყვნენ:

- მიხეილ ნამადოვი - 30%
- ეკატერინე ციხისელი - 30%
- ლევან ცეციტიშვილი - 20%
- თეიმურაზ ლაცაბიძე - 20%

2. მომზადების საფუძველი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში მსს ფასს) პირველადი გამოყენების მოთხოვნების გათვალისწინებით ნაწილი 35 „მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლა“. სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმისთვის რომ კომპანიამ შეძლოს მსს ფასს-ის სრულად შესაბამისი ანგარიშგების მომზადება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს შესაბამის ინფორმაციის გადასვლის თარიღამდე პერიოდისთვის.

შესაბამისად, აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ განიხილება, რომ წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების სრულ კომპლექტს რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის სრულ შესაბამისობაში.

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობამ გამოიყენა მოსალოდნელი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, ფაქტები და გარემოებები და საბუღალტრო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანია მოამზადებს პირველ სრულფასოვან ფინანსურ ანგარიშგებას მსს ფასს-ის შესაბამისად.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის პირველადი გამოყენება. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 2018

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

წლის 31 დეკემბერს დამთავრებული პერიოდისთვის სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის ანგარიშგებას და სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას.

ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად, აქამდე კომპანიას არ მოუმზადებია ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისად მსს ფასს-ებზე გადასვლას არ გამოუწვევია საწყისი ნაშთების კორექტირება.

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა მხოლოდ სავალდებულო გამონაკლისები.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2018 წლის 31 დეკემბერს და 1 იანვარს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2018 წლის 31 დეკემბერი	2.6766	3.0701
2018 წლის 1 იანვარი	2.5922	3.1044

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.
- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.
- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური იჯარები

აღიარება და შეფასება. იჯარის ვადის დასაწყისისათვის კომპანია აღიარებს უფლებებს აქტივის გამოყენებაზე და ვალდებულებებს ფინანსურ იჯარაზე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივებს და ვალდებულებებს საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით.

შემდეგში შეფასება. მინიმალური საიჯარო გადასახდელები გადანაწილებულია დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და დაუფარავი ვალდებულების შემცირებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საიჯარო გადასახდელები ხარჯად აისახება იმ პერიოდში, როდესაც გაწეული იყო.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად იხსება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიწულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება შემცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. საანგარიშგებო თარიღებისთვის არ იდენტიფიცირებულია გაუფასურების ნიშნების მქონე სავაჭრო მოთხოვნები ან სხვა ფინანსური აქტივები.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

აღბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. ამონაგები მომსახურების გაწევიდან

	2018
ამონაგები საერთაშორისო გადაზიდვის მომსახურებიდან	13,529,603
ამონაგები სატრანსპორტო საშუალების იჯარიდან	349,218
ამონაგები შიდა გადაზიდვის მომსახურებიდან	145,413
ამონაგები სხვა მომსახურებიდან	95,005
ჯამი	14,119,239

6. მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები

	2018
საერთაშორისო გადაზიდვის მომსახურების ხარჯები	(11,836,336)
ცვეთა და ამორტიზაცია	(106,925)
შიდა გადაზიდვის მომსახურების ხარჯები	(92,766)
ავტომანქანის იჯარის ხარჯები	(71,927)
მომსახურების სხვა ხარჯები	(137,478)
ჯამი	(12,245,432)

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018
შრომის ანაზღაურება	(1,142,555)
დაზღვევის ხარჯები	(182,979)
ცვეთა და ამორტიზაცია	(36,787)
საწვავის ხარჯები	(45,962)
ბანკის საკომისიო	(30,437)
ავტომანქანის მიმდინარე ექსპლუატაციის ხარჯები	(35,503)
საკონსულტაციო ხარჯები	(18,563)
მივლინების ხარჯები	(17,453)
საკანცელარიო ხარჯები	(12,810)
საგადასახადო ხარჯი	(5,233)
კომუნალური ხარჯები	(5,393)
სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(40,550)
ჯამი	(1,574,225)

8. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

	2018
შემოსავალი სადაზღვევოს მიერ ზარალის ანაზღაურებიდან	345,740
სხვა	3,020
ჯამი	348,760

9. სხვა არასაოპერაციო ხარჯები

	2018
მიყენებული ზარალის კომპენსირებაზე გაწეული ხარჯი	(320,024)
უსასყიდლო მიწოდება	(3,751)
სხვა	(63,802)
ჯამი	(387,577)

10. ფინანსური ხარჯები

	2018
ფინანსური იჯარის პროცენტის ხარჯები	(90,776)
სესხების საპროცენტო ხარჯი	(38,182)
ჯამი	(128,958)

11. ძირითადი საშუალებები

	შენიშვნები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	საიჯარო აქტივები საკუთრების გადაცემის პირობით	ჯამი
თვითღირებულება							
ნაშთი 01/01/2018	265,543	8,280	64,160	22,671	48,095	303,373	712,122
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	-	5,292	3,354	149,624	969,666	1,127,936
გასვლა წლის განმავლობაში	-	-	-	-	-	(99,590)	(99,590)
ნაშთი 31/12/2018	265,543	8,280	69,452	26,025	197,719	1,173,449	1,740,468
ცვეთა							
ნაშთი 01/01/2018	(12,149)	(2,981)	(15,064)	(5,493)	(2,425)	(5,070)	(43,182)
წლის დარიცხვა	(11,594)	(1,060)	(11,077)	(2,812)	(22,827)	(84,099)	(133,469)
შემცირება რეალიზაციის შედეგად	-	-	-	-	-	3,356	3,356
ნაშთი 31/12/2018	(23,743)	(4,041)	(26,141)	(8,305)	(25,252)	(85,813)	(173,295)
ნეტო საბალანსო ღირებულება							
ნაშთი 01/01/2018	253,394	5,299	49,096	17,178	45,670	298,303	668,940
ნაშთი 31/12/2018	241,800	4,239	43,311	17,720	172,467	1,087,636	1,567,173

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სავაჭრო მოთხოვნები	845,214	653,139
მოკლევადიანი ავანსები	86,664	80,375
მისაღები პროცენტები	16,298	-
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6,194	18,933
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	954,370	752,447
საექვო და უიმედო ვალების რეზერვი	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ნეტო	954,370	752,447

13. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო დაწესებულებებში ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში არსებულ ფულსა და ფულად საშუალებებს.

14. გრძელვადიანი სესხები

გრძელვადიანი სესხები წარმოადგენს ბანკიდან აღებული სესხის გრძელვადიან ვალდებულებას. სესხი აღებულია დოლარში. მიღებული სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის უძრავი ქონებით.

15. ფინანსური იჯარის ვალდებულება

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ერთი წლის განმავლობაში	355,004	101,274
ერთ წელზე მეტი მაგრამ არა უმეტეს ხუთი წლისა	742,975	194,061
სულ მინიმალური გადასახდელები	1,097,979	295,335
გამოკლებული: ფინანსური ხარჯები	(245,334)	(52,365)
მინიმალური გადასახდელების დღევანდელი ღირებულება	852,645	242,970

16. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სავაჭრო ვალდებულებები	1,296,509	858,073
მიღებული ავანსები	18,761	54,339
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	14,618	3,705
ჯამი	1,329,888	916,117